

პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი საბრძოლო პროგრამა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვანი მოწონებითა და მპლავარი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველგან — საწარმო - დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და მტსებში, საბჭოთა მეურნეობებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებსა და შემოქმედებითს ორგანიზაციებში მრავალი ასეული ათასი მშრომელი უდიდესი ინტერესით სწავლობს პარტიის XX ყრილობის მასალებს. მშრომელები XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პასუხად იღებენ ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს და უფრო მეტი ძალით აჩაღებენ ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის დაგეგმვათა მიზლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ამის შესახებ მოგვითხრობენ მშრომელები ჩვე-

ნი გაზეთისათვის გამოგზავნილ წერილებში.

— ჩვენი დეპოს ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები, — გვწერს ხაშურის სალოკომოტივო დეპოს პარტიურის მდივანი გ. ნოზაძე, — სულით და გულით იწონებენ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ნაკისრ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ ელმავლის მემანქანეები დ. გასიშვილი, ი. ლაბაძე, ვ. თყროშიძე, მეორთქლმავლეები ტ. ბლიაძე, ა. ქელბაქიანი და სხვები.

ფოთის ნავსადგურის მეორე საწარმო რაიონის მტვირთავთა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის შესახებ მოგვითხრობს თავის წერილში უფროსი დისპეტჩერი, აგიტატორი ა. თოფურია.

— სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, — გვწერს იგი, — მეშები იკრიბებიან წითელ კუთხეში. — სადაც გამოთენილია XX ყრილობისადმი მიძღვნილი ლიტერატურა, პლაკა-

◆
მშრომელთა წერილების მიმოხილვა
 ◆

ტები, ლოზუნგები. ყოველ საუბარს მჭიდროდ ვუკავშირებთ ნავსადგურის ყოველდღიურ ცხოვრებას, ვააშკარავებთ მუშაობის ნაკლოვანებებს, ვსწავლობთ მოწინავეთა გამოცდილებას. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითს იძლევა ბრიგადა, რომელსაც ა. მარინოვი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ იანვრისა და თებერვლის საწარმოო დაგეგმვა ორმაგად შეასრულა.

პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლისათვის დიდი მუშაობაა გაჩაღებული თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის. აქ სისტემატორად ეწყობა ლექცია-მოსხენებები, აგიტატორთა საუბრები, როგორც

„კომუნისტის“ მკითხველი ნ. ბეროძე გვატყობინებს, კომბინატის კოლექტივის მტკიცე გადაწყვეტილებაა მეექვსე ხუთწლედის დაგეგმვა ვადაზე ადრე შეასრულოს.

ქედის რაიონიდან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადებაზე გვწერს ჩვენი გაზეთის მკითხველი შ. დარსაველიძე. საკოლმეურნეო მინდვრებში, — წერს იგი, — თანდათან უფრო ფართოდ ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები. კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში გაცხოველებით ემზადებიან მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხულისათვის. კოლმეურნეები ნ. დავითაძე, თ. სურგულაძე, ა. აღიშანიძე და სხვები ყოველმხრივ მზად არიან საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩასატარებლად. 1956 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრიგადებში, რგოლებში და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად ამავე

რაიონის სოფელ ცხმორისის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა გადაწყვიტეს წელს მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოსავლიანობა, უზრუნველყონ მეცხოველეობის განუხრელი აღმავლობა.

სიონშენის პარტორგანიზაციის მდივანი ა. ნადირაშვილი თავის წერილში მოგვითხრობს, თუ რა უმაგალითო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა მშენებელთა შორის. მშენებლები ღრმად სწავლობენ ყრილობის მასალებს.

მშრომელთა წერილებში ნათლად არის გამოხატული მათი უანგარო სიყვარული მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მათი მტკიცე გადაწყვეტილება თავდადებული, პატრიოტული შრომით პრაქტიკულად განახორციელონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები.